

ვალდებულება 19: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება
- „ყველა ყველაფერს ხედავს“

შესრულების ანგარიში

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება გულისხმობს კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირებას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. **აღნიშნული ვალდებულება სრულად შესრულდა.**

კერძოდ, შეიქმნა ინოვაციური ელექტრონული მოდული და მოხდა მისი ინტეგრირება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსების სრულად ელექტრონულად წარმართვას გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში. კონკურსის ელექტრონული მოდულის საპილოტე ვერსიის გაეშვა 2015 წლის მაისის დასაწყისში, ხოლო რეალურ რეჟიმში ამოქმედდა 2015 წლის 1 ივლისიდან. ელექტრონულ სისტემაში უკვე გამოცხადებულია 12 კონკურსი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „**კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები**“. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ახალი წესი და პირობები ამოქმედდა 2015 წლის 1 ივლისიდან.

კონკურსი სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელოვან სეგმენტს მოიცავს და იგი სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალებაა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს საპროექტო მომსახურება, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები.

ახალი ბრძანების თანახმად, კონკურსების გამოცხადება, საკონკურსო წინადადებების მიღება, შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა (მათ შორის ყველა სახის კომუნიკაცია შემსყიდველ ორგანიზაციასთან, დოკუმენტაციის ატვირთვა) ხდება **სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.**

შედეგად:

1) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, ტენდერების მსგავსად, ელექტრონულად მიიღოს მონაწილეობა კონკურსში. მსგავსი შესაძლებლობა აღმოფხვრის გეოგრაფიულ დისბალანსს, გაამარტივებს კონკურსში მონაწილეობას და გაზრდის კონკურენციას.

2) კონკურსის სისტემაში ინტეგრირების შედეგად, უკვე შესაძლებელია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დავების განხილვის საბჭოში, რაც უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეთა უფლებების სწრაფ და ეფექტიან დაცვას.

3) კონკურსების სისტემაში ინტეგრირებამ კონკურსის ჩატარების პროცესი გახადა გამჭვირვალე და საჯარო.

4) გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით შესაძლებელია ხარისხისა და საკონკურსო წინადადების ფასის ერთდროულად გათვალისწინება და საუკეთესო წინადადების მქონე პრეტენდენტის სისტემის მიერ ავტომატური გამოვლენა. ბრძანების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში განსაზღვრავს ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს. ხარისხის კრიტერიუმები, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპებად იყოფა. იმისათვის, რომ გამოვლინდეს საუკეთესო საკონკურსო წინადადება, კონკურსებისთვის საგანგებოდ შექმნილი სპეციალური ალგორითმის გამოყენებით, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, გამოითვლება საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების ჯამური ქულა, რომელიც, სისტემის მეშვეობით, აგრეგირდება წინადადების ფასთან. საბოლოოდ, აგრეგირების (წინასწარ განსაზღვრული ხვედრით წონათა შესაბამისად, ხარისხის ჯამური ქულისა და წინადადების ფასის ერთმანეთთან შეპირისპირება) შედეგად, სისტემა ავტომატურად გამოავლენს საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტს. იმისათვის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის მარტივი იყოს შეფასების ალგორითმის გამოყენება, Excel-ის ფორმატში შეიქმნა სპეციალური მატრიცა, რომელიც განთავსებულია სისტემაში.

დანერგილი სიახლის გაცნობის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამართა რამდენიმე შეხვედრა შემსყიდველ ორგანიზაციებთან, მიმწოდებლებთან, არასამთავრობო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრები გაიმართა კონკურსის ელექტრონული მოდულის საპილოტე ვერსიის გაშვებისთანავე:

- კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ახალ წესთან და პირობებთან დაკავშირებით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ OGP ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო/საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრები. პირველი შეხვედრა შედგა, 2015 წლის 12 ივნისს, აჭარის რეგიონის სახელმწიფო ორგანიზაციების შესყიდვების წარმომადგენლებთან ქ. ბათუმში.
- შემდგომი შეხვედრა გაიმართა 23, 24, 25 ივნისს ქ. თბილისში, სადაც მოწვეულნი იყვნენ თბილისის და თბილისთან ახლომდებარე ქალაქების შესყიდვების წარმომადგენლები.
- 27 ივნისს შეხვედრა გაიმართა ქ.ქუთაისში. შეხვედრას ესწრებოდნენ იმერეთის რეგიონის წარმომადგენლები, რომლებიც საქმიანობას ეწევიან შესყიდვების სფეროში.
- შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემას დაემატა კონკურსების რუბრიკა, რომელიც შედგება: კონკურსების ელექტრონული მოდულის, კონკურსების მიმდინარე არქივის და მეთოდური მითითებები კონკურსის მოდულის შესახებ. მეთოდური მითითებები კონკურსის მოდულის შესახებ მოიცავს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №7; საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენების გზამკვლევი; კონკურსების მოდულში გამოყენებული შეფასების ალგორითმი; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო; ხარისხის ჯამური ქულის დაანგარიშების მატრიცა; ხარისხის ჯამური ქულის დაანგარიშების მატრიცა, რანჟირების კოეფიციენტის გამოთვლით.

შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლების ახალ ელექტრონულ კონკურსებთან უკეთ ადაპტირების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- შემუშავდა საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენების [გზამკვლევი](#).
- განახლდა და კონკურსის შესახებ ინფორმაცია დაემატა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის [მომხმარებლის სახელმძღვანელოს](#).
- შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემას დაემატა [კონკურსების რუბრიკა](#), რომელიც შედგება: კონკურსების ელექტრონული მოდულის,

კონკურსების მიმდინარე არქივის და კონკურსის მოდულის შესახებ
მეთოდური მითითებებისაგან.